

დიაბეტის მართვა 18 წლამდე ასაკის ბავშვებში საქართველოში –
სახელმწიფო პროგრამის ეფექტურობის შეფასება

მაგისტრანტი: ლარისა გურასპაული

*„სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის,
ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე ბიზნესის ადმინისტრირების
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად“*

ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: სოფიო ლეხანიძე, ასოცირებული პროფესორი,

დოქტორანტი


ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

განაცხადი

„როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ლარისა გურასპაული 03.07.2021 წელი“.

A rectangular box containing a handwritten signature in blue ink. The signature is written in Georgian and reads "L. Guraspauli".

აბსტრაქტი

სამაგისტრო ნაშრომში განხილულია დიაბეტის მართვა 18 წლამდე ასაკის ბავშვებში საქართველოში და სახელმწიფო პროგრამის ეფექტურობა. მასში ყურადღება გამახვილებულია 18 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის პროგრამით სარგებლობის შესაძლებლობაზე, მის ეფექტურობაზე, ხელმისაწვდომობაზე, ინფორმირებულობისა და განათლების აუცილებლობაზე.

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე და საკითხის აქტუალობის გათვალისწინებით შესწავლილია სხვა ქვეყნების მაგალითები და ამავდროულად გაანალიზებულია საქართველოში მოქმედი სახელმწიფო პროგრამა „დიაბეტის მართვის“ მოდელი, რომლის მიზანია საჭიროების მქონე პირებისათვის ფინანსური და ფიზიკური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

ნაშრომი ეყრდნობა ჩატარებული კვლევის შედეგებს: გამოიკვეთა რეგიონებში პროგრამით გათვალისწინებულ მომსახურებასთან დაკავშირებული ხარვეზები, კერძოდ, პროგრამით სარგებლობის ხელმისაწვდომობის, მოქმედი სახელმწიფო პროგრამის შესახებ პაციენტების ინფორმირების კუთხით.

კვლევის შედეგებმა ცხადყო, რომ გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის პრობლემები განსაკუთრებით პრობლემურია, რადგან რეგიონებიდან პაციენტებს უჭირთ მედიკამენტების გამო დედაქალაქში ჩამოსვლა. რაც შეეხება პროგრამით გათვალისწინებული მომსახურების მიღებას, აქ პაციენტები გეოგრაფიულთან ერთად აწყდებიან ფინანსურ პრობლემებსაც. საყურადღებოა ასევე სახელმწიფო

პროგრამის შესახებ მოსახლეობის ინფორმირების დაბალი მაჩვენებელი, რაც კიდევ უფრო მეტად ამცირებს აუცილებელ სერვისებზე ხელმისაწვდომობის შესაძლებლობებს. მონაცემების ინტერპრეტირების და სხვა ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ინფორმირების დეფიციტის და ხელმისაწვდომობის პრობლემების მთავარი მიზეზია პროგრამის განხორციელების მექანიზმების ხარვეზები და ასევე პირველადი ჯანდაცვის რგოლის ეფექტურობის დეფიციტი.

კვლევის შედეგები და ამ შედეგების ინტერპრეტაცია, ასევე სხვა ქვეყნების გამოცდილება, ერთობლიობაში იძლევა საშუალებას, სწორად იყოს დანახული არსებული პრობლემები და გამოწვევები. წინამდებარე კვლევის შედეგად შესაძლებელია ჩამოყალიბდეს რეკომენდაციათა ნაკრები, რომელიც დიაბეტის მართვის ეფექტური სისტემის მიზანს აღასრულებს და პაციენტებს ექნებათ აუცილებელ სერვისებზე ხელმისაწვდომობის უკეთესი შესაძლებლობები.

ძირითადი საძიებო სიტყვები: დიაბეტის მართვა; სახელმწიფო პროგრამა; ტიპი I; 18 წლამდე ბავშვები.

Abstract

The master's thesis discusses the management of diabetes in children under 18 years of age in Georgia and the effectiveness of the state program. It focuses on the opportunity for children under the age of 18 to use the program, its effectiveness, accessibility, awareness and the need for education.

Based on the objectives of the research and the urgency of the issue, examples from other countries are studied and at the same time the model of the state program "Diabetes Management" in Georgia, which aims to provide financial and physical access to people in need, is analyzed. The paper is based on the results of a survey: gaps in service delivery under the program were identified in the regions, in particular in terms of access to the program, informing patients about the current state program.

The results of the study revealed that geographical access problems are particularly problematic as patients from the regions find it difficult to arrive in the capital due to medication. As for receiving the services provided by the program, here patients face financial problems as well as geography. Also noteworthy is the low level of public awareness of the state program, which further reduces access to essential services. Given the interpretation of the data and the experience of other countries, it can be assumed that the main cause of the lack of information and access problems is the shortcomings of the program implementation mechanisms as well as the lack of effectiveness of the primary health care ring.

The results of the research and the interpretation of these results, as well as the experience of other countries, together allow to see correctly the existing problems and challenges.

As a result of the present study, it is possible to develop a set of recommendations that will serve the purpose of an effective diabetes management system and provide patients with better access to essential services.

Keywords: diabetes management; State program; Type I; Children under 18 years.